საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევმელოს კორინთელი

ევმელოს კორინთელი (Eumēlos ho Corinthios) (დაახლ. ძვ. წ. VIII ს.), ძვ. ბერძენი ეპიკოსი პოეტი. ჩვენამდე მოაღწია მისი პოემის „კორიანთიაკას" რამდენიმე მეტ-ნაკლებად სანდო ფრაგმენტმა. პოემა გადმოგვცემს ე. კ-ის მშობლიური ქალაქის (ეფირის, ანუ კორინთის) ლეგენდარულ ისტორიას. ერთ-ერთ ფრაგმენტში (2ц) მოცემულია სხვა ბერძნ. წყაროთაგან სრულიად განსხვავებული ცნობა – აიეტი და ალოევსი ჰელიოსს ანტიოპესგან შეეძინა. მამამ შვილებს გაუყო ქვეყანა – ალოევსს ასოპოსის მხარე ერგო, ხოლო აიეტს – ეფირა. აიეტმა თავისი სამფლობელო ვინმე ბუნოსს დაუტოვა იმ დრომდე, სანამ ვინმე აიეტის ახლობელი არ მობრუნდებოდა იქ, თავად კი კოლხეთს გაემართა. ეს ცნობა ეფირა-კორინთოსსა და კოლხეთს შორის უძველეს კავშირზე მიანიშნებს, ამასთან, იგი პირველად ახსენებს ტერმინს „კოლხისს" და მას აიეტის ლეგენდარულ სამეფო აიასთან აიგივებს. თუკი ეს ფრაგმენტი მართლაც ე. კ-ის დროინდელია, მაშინ იგი უკვე ასახულია არგონავტების თქმულების უძველეს ვერსიებში და კოლხეთთან იდენტურობაზე უნდა მიუთითებდეს.

ლიტ.: ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; Huxley G. l., Greek epik poetry from Eumelos to Panyassis, L., 1969; Greek Epic fragments, ed. M.L. West, 2007.

რ. ბ. გორდეზიანი